ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №390079

ნომერი: AR185407

თარიღი : 09.10.2012

გაცემის თარიღი : 12.10.2012

გაცნობის თარიღი : 14.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი შუბითიძე პ/ნ 12001043343
- გარდაბანი ს. სართიჭალა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: საქართველოს კანონმდებლობა სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობით სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სივრცითი მოწყობის შესახებ კანონის და საქართველოში მოქმედი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციულ –სამართლებლივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს.

"საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი–რუსთავის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე საპროექტო სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge